№ 91. 27 აპრილი, პარასკევი. 1866—1884 27 აპრილი, პარასკევი. № 91.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპიკი. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს; დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

შინაური ქრონიკა

═ მრთს განსაკუთრებულ წრეში ეს ერთი წელიწადია, რაც უთანხმოება, განხეთქილება და ერმანეთის ბეზღობა—ცილის-წამება დაიბადა, სწრაფად აღორძინდა და საძაგელს ხარისხამდის ავიდა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს არა ზოგვენ არც თელავში, არც ქუთაისში, არც ოზურგეთში და არც სხვა ადგილებში. ერთი წლის წინედ კი ეს წრე მოშორებული იყო ამ სენსა და მშვიდობიანად მოქმედობდა. რამ დაბადა ეს მოვლენა და რომელი მაგი ხელი ამღერევს წყალსა? მსაჯულის უთუოდ მოგიგებდათ: ის ამღერევს, ვინც სარფას ილებს ამ გვარი უკუღმართობიდგანაო. ჩვენ თავად კი არას ვიტყვით გარდა იმისა, რომ მოწინააღმდეგენი წარმოადგენენ ინდოურის ჭუკებსა, რომელნიც სრულიად უბრალო მიზეზის გამო ჩაეკლებენ ხოლმე ნისკარტს ბიბილოში და იქამდის უგლიან თავს ერთმანეთს, ვიდრე გახარებული ქორი ორივე დაბნედილებს არ წააწიალებს ხოლმე.

═ 5 მაისს საღამოზედ დანიშნულია გლეხთა საქმეების დაწესებულებაში სხდომა შესახებ ხიზნებისა. ამ სხდომაზედ, გარდა თანამდებობის პირთა, ბ. თბილის გუბერნატორისაგან მიწვეულნი არიან რამდენიმე მებატონენი ამ ფრიად საყურადღებო საქმეზედ მოსალაპარაკებლად.

═ ძახეთიდამა გვწერენ: «დიდი ხანია, რაც სიონალის მაზრაში ყვავილი გახშირდა. თავდაპირველად იგი გაჩნდა სოფელ პრასიანში და აქედგან გავრცელდა მახლობელ სოფლებშიაც: ტაბაანში, ჯუგაანში, ქვემო-მაჩხაანში, ფანიანში და სხვებშიც. ყვავილმა დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს; მან იმსხვერპლა არამცთუ პატარა ყმაწვილები, არამედ დიდებიც—ცოლშვილიანები.

«ძარგი იქნება, რომ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება მაზრის ექიმმა და გამოგზავნოს სოფლებში ყვავილის ამცრელები. თუ მას დახელოვნებული ამცრელები არა ჰყავს, შეუძლიანს, რაკი საჭიროება მოითხოვს, სხვა მაზრიდგან დაიბაროს, მაგ., ბორის მაზრაში ყვავილის ამცრელები იმდენი არიან, რომ კარის-კარ დაიარებიან, აძლევენ ჯეროვან დარიგებას ხალხსა და ურჩევენ ყმაწვილების აცრას და ისინიც აცრევინებენ. აი რის გამო ბორის მაზრაში არ არის ისე გახშირებული სიკვდილი და დამახინჯება ყვავილისაგან, როგორც აქ, სიღნაღის მაზრაში.»

═ ჩვენ მივიღეთ ოდესიდამ ბბ. ჟ. მორიე და ი. მეუნარგიასაგან შედგერილი წიგნი «La Mingrélie»—აღწერა სამეგრელოსი. წიგნი შეიცავს 435 გვერდს და განიყოფება 15 თავად. ამ თავებში არის მოქცეული: ისტორია, გეოგრაფია, გეოლოგია, და მინერალოგია, ფაუნა, ფლორა, ჰიგიენა, ეტნოგრაფია, ლიტერატურა, სახალხო განათლება, ადმინისტრაცია, სასამართლო, აგრიკულტურა, ინდუსტრია და ვაჭრობა, არხეოლოგია სარწმუნოება, ეკლესიები და მონასტრები. წიგნი სავსეა სხვა და სხვა გეოგრაფიისა და ისტორიული ნაშთების სურათებით. ბოლოს დართულია სამეგრელოს რუკა.

═ ჩვენ შევიტყეთ, რომ სიონის სობოროს დეკანოზად დაუნიშნავთ მეორე გიმნაზიის სკოლის მასწავლებელი მღვდელი ილიევი.

═ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული კომიტეტი რუსეთის განაპირა ქვეყნების უფროსებთან მიწერ-მოწერაშია და სთხოვს მათ სტატისტიკურის ცნობები შეკრებას. ამ აზრით მათ მოსელიათ სანიმუშო ფურცლები, თუ რა გვარად უნდა შეიკრიბოს ხსენებული ცნობანი. ამ საზით მიღებულს ცნობათა განაპირა ქვეყნებზედ კომიტეტი შეიმუშავებს და დაიწყებს ბეჭდას.

═ დასავლეთ კავკასიაში, ზოგიერთა ადგილას, იმდენი წყალია, რომ მცხოვრებლებს, თუმცა მიწა ნაკლებადა აქვთ, არაფერი არ მოჰყავთ ამ ადგილებში, რადგანაც ავადმყოფობისა ეშინიათ. კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში კიდევ ბევრი იმისთანა ადგილია, რომ წყალი ძლიერ ეჭირვება და თუ მიწა არ მოირწყო, არაფერი არ მოვა. ამისათვის სახელმწიფო ქონებათა მინისტრს წინადადება შეუტანია, რათა აღმოსავლეთ-კავკასიის უდაბნო და უნაყოფო ადგილებში არხები ქმნანი გაყვანილნი. ხოლო დასავლეთ კავკასიაში, სადაც წყალი მომეტებულია, ჭაობები დააშრონ. ეს წინადადება თანაგრძნობით მიუღიათ, საქმეს კიდეც შესდგომიან და ბათუმის გარეშემო კიდეც დაუწყვიათ ჯაობების შრობა არხების გაყვანით, რაც შეეხება აღმოსავლეთ კავკასიის მოირწყვის საქმეს, შინაურ საქმეთა სამინისტროში ამ ყამად კანონ-დებულებათა პროექტს ადგენენ შესახებ წყლის მფლობელობისა და იმ წესისა, რა წესითაც უნდა ირწყვებოდენ მიწები კავკასიაში («როს. კურიერი»).

სამართალი

აზიური ექიმის ვასილიევ თეოფანიძის საქმე თბილისის სამოსამართლოს ჭალატაში.

(დასასრული *)

ამის შემდეგ პროკურორის ამხანაგმა ბიკოვმა წარმოსთქვა გამამტყუნებელი სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ქუთაისის ოლქის სამჯავროს გადაწყვეტილება სრულიად კანონიერი და სამართლიანი არისო. ბ. ბიკოვმა გაიმეორა ჯერ ის გასამტყუნებელი საბუთები, რომლებითაც ქუთაისის ოლქის სამჯავრო ხელმძღვანელობდა, და შემდეგ შეეხო თურმანიძის მოსარჩლის, ბ. ბორდიეესკის, აპელაციურს საჩივარს. ბ. ბიკოვის სიტყვით, სრულიად უსაფუძვლოა ის საბუთი, ვითომც ექმეს შური და მტრობა რაიმე ჰქონდეთ თურმანიძისადმი და ამისათვის მედიცინური ოქმები განსვენებული დესპინე ერისთვის ვამის გახინჯვის და მისი სიკვდილის მიზეზების გამოკვლევის შესახებ სამართლიანნი არ იყვნენ. მართალია,

*) ის. «დროება» № 90.

«დროების» ტელეგრაფი 27 აპრილი.

საარჩევანო ცხელება ქუთაისში

(შემდეგი *)

დრონი იცვალნენ.... ბოლოს და ბოლოს გამრავლდა ნასწავლი ახალგაზდობა, რომლისთვისაც ყირიმის დროინდელი ნასწავლი კაცის მოწინავე აზრები ადარ იყვნენ ესდენ მოწინავენი, და ამისაგამო ითხოვდა როგორც ბ—საგან, ისე მის ძმათაგან, დიპლომატიური მხედველობის გაფართოებას, უფრო მხნესა და პირ-დაპირს მოქმედებას. ბუშინდელი ლიბერალი დღეს შეიძლება, მისდა შეუნიშნელადაც, კონსერვატორი შეიქნა. ბუშინ რომ სხვას სცემდა ზარს, დღეს თვითონ მას დასჭირდა სხვისაგან ზარცემის აცილება. იერიში მოგვრებად გადაიქცა... ამ დროს მათ მიუღისთ ნ. წ—გან ელჩი და დიპლომატიური წერილი, რომელშიაც ზურაბის მოდგმა იწერებოდა, რომ იგი შეიქნება მათი ყურ-მოჭრილი ყმა, უკეთუ ისინი მათის მომხრეებით შეიერთებენ მისს დასსა და გაიყვანებენ მას გუბერნიის წინამძოლად. ისინი დათანხმდენ ამ წინადადებას და გუშინდელი მტრები, მტრები პრინციპიალურნი, გადაიქცნენ ერთმანეთის დამხმარებლად...

ლოლობერიძეთა უკეთესს მომხრეთა-შორის ამ «შერიგებამ» «შეურიგებელთა» აღძრა და გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, მაგრამ პირველნი იმით იმართლებდენ თავს, რომ «ნ. წ—მა აღგვითქვა ყურ-მოჭრილი ყმობა, იმოქმედებს ჩვენის ხელმძღვანელობით და ჩვენდა დაუკითხავად ბიჯსაც არ გადადგამს, კრინტსაც არ დასძრავს. ნუ გაგვიცხავთ, ნუ დაგვშორდებით, იყავით სულგრძელნი და, თუ ბოლოს ამ შეერთებიდამ ქვეყნის სასახელო და სასარგებლო არაფერი გამოვიდეს, მაშინ ჩაგვქოლეთო»...

ბადაიცვალა ბანკის თავსმჯდომარე ბესარიონ ლოლობერიძე. საზოგადოებაში გავარდა ხმა, რომ ის შეიქმნა მსხვერპლი საზოგადო საქმის ერთგულებისაო. ამ გარემოებამ გამოაკვთა ლოლობერიძეთა შეფერხებული მდგომარეობა ზემოხსენებულის მიზეზის გამო. საზოგადოება შეუდგა კანდიდატის ძებნას ან და უფრო მართალი მოგახსენოთ, თაესმჯდომარის საკარძელის მსურველნი შეუდგნენ თავიანთ კანდიდატურის პროპაგანდას...

ერთი კანდიდატთაგანი იყო ნიკოლოზაზ ბ. ლოლობერიძეც.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კურს-შესრულებული კანდიდატის უფლებით, საქართველოში დაბრუნებისათანავე შევიდა სახელმწიფო სამსახურში თბილისის გიმნაზიის გეოგრაფიის მასწავლებლად. აქ იღებდა მონაწილეობას ილია ჭავჭავაძის «საქართველოს მოამბეში», რომლის მოსპობის შემდეგ დაახლოებულს მონაწილეობას იღებდა «დროების» დაარსებაშიაც, რომლის ფურცლებზედაც რამდენიმე თავის წერილი დაბეჭდა, სხვათა შორის, კონსტიტუციაზე საზოგადოდ და ინგლისისაზე განსაკუთრებით... შემდეგ მიიღო ქუთაისის გუბერნიაში სახალხო სასწავლებელთა დირექტორის თანაშემწეობა, მაგრამ პედაგოგიურს ასპარეზზე ვერ გრძნობდა თავს თავის კალაპოტში და გადავიდა იუსტიციის სამინისტროს უწყებაში. ჯერ როგორც გამომძიებელმა, მერმე როგორც მომრიგებელმა მოსამართლემ, შემდეგ ოლქის სასამართლოს წევრმა, მან დაიმსახურა მუყაითი მშრომელის სახელი. ბამოვიდა რა ამ თანამდებობაზედ, ვერას გახდა და მეორე თვეშივე საადვოკატო პრაქტიკისა ისევ შევიდა სამსახურში—ოლქის სასამართლოს უფროსს ნოტარიუსად. ამ თანამდებობის გულდასმით, დაუზარებლად ასრულებით მან მოიმადლიერა ყველა, ვისაც კი რაიმე საქმე ჰქონდა მასთან, როგორც ნოტარიუსთან.

*) ახილე „დროება“ № 90.

თურმანიძეს დიდი ექიმობის სახელი აქვს დავარდნილი ადგილობრივ დაბალ ხალხში, მაგრამ ეს ისეთი არაფერია, რომ განათლებულ, ნასწავლ ექიმებში შური აღძრას, რადგანაც ის ხალხი, რომელსაც თურმანიძე ექიმობს, თურმანიძეც რომ არ იყოს, სხვა ვისმე მკითხავებს მიმართავს და ნამდვილს ექიმებთან კი არ მივალ. შემდეგ ბიკოვმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ დესპინე ერისთვის სიკვდილის მიზეზი ნამდვილად საშვილოსნოდგან სისხლის დენაც თავის მხრით წარმოსდგა იქიდგან, რომ განსვენებულმა მუცლის წახდენა მოიწადინა, რისთვისაც მიმართა მან ვახთანგ თურმანიძეს, როგორც ამ გვარ საქმეებში განთქმულს და დახელოვნებულს პირსაო. უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლად პროკურორის ამხანაგმა მოიყვანა იმას გარდა, რაც საქმეში საბუთებია, ბ. ანანოვის და სხვა ექსპერტების დასკვნა. ის ამტკიცებდა, რომ თუმცა დოქტორი რეიხენბარი სრულიად არ ეთანხმება დანარჩენი ექსპერტების დასკვნას და ამტკიცებს, რომ შესაძლებელია კ-ნა ერისთვისას თურმანიძეს ნახვამდის მიეღოს საშუალება მუცლის წასახდენად, მაგრამ, საქმის გარემოებანი და ექსპერტების დასკვნა ერთმანეთს რომ შევადაროდ, ცხადი იქნება, რომ ნამდვილად თურმანიძის საქმეა მისი მუცლის წახდენაო. ამას ექსპერტიზაც და თვითეული საქმის გარემოებაც აშკარად ამტკიცებენ. ზოგიერთა მოწმების სიტყვით, კ-ნა ერისთვის მუცლის წახდენა პირველი არ არის თურმანიძისთვისა,—იმას ბევრი სხვა ქალისთვისაც წაუხდენია მუცელი და ამისთანა შემთხვევებში ადგილობრივი მცხოვრებლები ყოველთვის მას მიმართავენ ხოლმეო. ამასთანავე გასაკვირველი არა არის-რა, რომ თურმანიძეს ფულის გულისთვის ჩაედინოს ეს დანაშაული, რადგანაც იგი, მოწმებისავე სიტყვით, იქამდინ ანგაართ-მოყვარე არის, რომ ვიდრემდის საექიმო ფასს წინადვე არ მისცემენ, ფეხს არ გადასდგამს, რაც უნდა გაჭირვებულს მდგომარეობაში იყვეს ავად-მყოფიო.

ბ. ბიკოვმა თავის სიტყვა დაბოლოვა იმით, რომ სთხოვა პალატას დამნაშავედ იცნოს ვახტანგ თურმანიძე და მის შესახებ ჭუთაისის ოლქის სამსჯავროს მიერ დადგენილი გარდაწყვეტილება დაამტკიცოს.

თურმანიძის მოსარჩლემ ბ. ბორდიევსკიმ ჯერ განიმეორა ის საბუთები, რომელნიც ჰქონდა მას მოყვანილი თავის აპელაციურს საჩივარში და შემდეგ მიაქცია პალატის განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რომ ექსპერტების დასკვნა ერთმანეთს არ ეთანხმება. იმის აზრით, დოქტორი რეიხენბახის დასკვნა—რომ კ-ნა ერისთვისას მუცლის წასახდენი საშუალება თურმანიძის ნახვამდინ უნდა მიეღო, უფრო საფუძვლიანი და ნამდვილი უნდა იყოს, ვიდრე სხვა ექსპერტების დასკვნა. ამის დასამტკიცებლად იმან ბევრი საბუთები მოიყვანა როგორც მეცნიერებიდგან, აგრეთვე თვით საქმიდამაც.

ბოლოს ბ. ბორდიევსკიმ სთხოვა მსაჯულთ, რომ თუ პალატა სრულიად არ გაანთავისუფლებს თურმანიძეს სასჯელისაგან, მხედველობაში მაინც იქონიოს მისი წლოვანება, წვრილშვილობა და ის ღვაწლი, რომელიც მას საზოგადოებისთვის გაუწევია, და შეუსუბუქოს სასჯელი.

ამის შემდეგ, მსაჯულნი გავიდენ სათათბირო ოთახში და ნახევარ საათის შემდეგ თავ-მჯდომარემ გამოაცხადა პალატის გარდაწყვეტილება, რომელიც გუშინვე ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ საგენტოსი“)

25 აპრილს.

ხარკოვი. ცხვრის პატრონებს ნება დართეს 9 ივნისს ხარკოვში შეკრებისა. ჯერ-ჯერობით მარტო სამმა უცხო-ქვეყნელმა ექსპონენტმა გამოაცხადა სურვილი ხალხთაშორებრივი გამოფენისა.

პარიჟი. ბოგარვილში, სატორ-ვედო სასწავლებელში, აფეთქება მოხდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ბერლინი. შემდეგი შინაარსისაა ის კანონ-პროექტი, რომელიც საფეთქებელ ნივთიერებათა ხმარებას შეეხება: პოლიციის ნება დაერთველად არ შეიძლება საფეთქებელ ნივთიერებათა არც გაკეთება, არც მოპოვება და არც სამზღვარგარედამ შემოტანა; მთავრობას ყოველს ჟამს უნდა ატყობინებდენ—ვინც რამდენს საფეთქებელს ნივთიერებას გააკეთებს და ან მოიპოვებს; აგრეთვე იმასაც უნდა ატყობინებდენ მთავრობას—სად მოიპოვეს საფეთქებელნი ნივთიერებანი და სად ინახავენ მათ.

26 აპრილს.

პეტერბურგი. დღეს არდგენს საველმწიფო რჩევაში ფინანსთა მინისტრი პროექტს იმის შესახებ, რომ დიდ სავაჭრო და სამრეწველო საქმეთ დაედოთ დამატებითი ხარჯი სამი პროცენტი წმინდა შემოსავალზედ. წინად გამოცხადებული პროექტი ცოტაოდნად შესცვალეს.

სახელმწიფო რჩევამ გადაწყვეტა შემოდგომამდე გასინჯვა ბარანოვის პროექტისა შესახებ რკინი გზებისა.

უმაღლესად დამტკიცდა პეტერბურგის სამხედრო-ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც სამსახურიდამ დათხოვნილს პოლკოვნიკს პრიოროვს, რუშჩუკის რაზმის ინტენდანტად ყოფნის დროს ჩადენილი ბოროტ-მოქმედებისათვის აეხდება ჩინები, ორდენები, ყოველივე განსაკუთრებული უფლება და იგზავნება საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში. მას არ ეძნება ნება 2 წლის განმავლობაში ფეხი მოიცვალოს და მასუკან 6 წლის განმავლობაში ციმბირის სხვა ადგილებში წავიდეს.

ის პირნი, რომელთაც რუსეთის უკანასკნელ სესხზედ 500 გირვ. სტერლინგამდე ხელი მოაწერეს სრულიად დაკმაყოფილებულნი იქნებიან; სხვები მიიღებენ 500 გირვ. სტერლინგის ობლიგაციებს და მეოცედს დანარჩენის ხელმონაწერისას.

ომსკი. ირტიშზედ ნავებმა სიარული დაიწყეს.

კონსტანტინოპოლი. ალექო-ფაშის მაგვრად აღმოსავლეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულია კრასოვიჩი, ამ პროვინციის შინაურ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი.

ბერლინი. იმპერატორმა მიიღო და დიდხანს ელაპარაკა პეტერბურგას უნივერსიტეტის პროფესორს მარტენსს.

ბესარიონ ლოლობერიძის გარდაცვალება, როგორც მოგახსენეთ, ჩასთვალეს საზოგადო საქმისათვის თავდადებად, შეიქმნა საგნად აღტაცებულის ქებისა, რომლის შარავანდედი მოხვდა აგრეთვე მისს ბიძა-შვილებსაც და კვლავ ასწია მათი ფასი საზოგადოების თვალში. ამის გამო, ნ. ლოლობერიძე გამოვიდა კანდიდატად მოხსენებულის ადგილისა და კიდევაც იქმნა არჩეული 1879 წელს და განმეორებით 1882 წ.

ადგა გაზაფხული 1883 წლისა და მასთან არჩევის დროც გუბერნიების წინამძღოლთა. ამ დროს თხოულობდენ სასწავლებლებში დედა-ენისათვის სათანადო ადგილის მინიჭებაზე, სასამართლოების ხალხთან შეფარდებაზე, ერობის შემოღებაზე და სხ. ამ ღაღადებამ ის გავლენა იქონია, რომ თბილისის გუბერნიის კრებამ გადასწყვიტა ყოველივე ამის გამოთხოვა...

ჩვეულებრივად იმერეთის ახალ-გაზდობა აჰყვა და შეუდგა საზოგადოებაში ცდას, რომ მეკენჭეთა კრებაში გატარებულიყო მოხსენებული საგნები. ამასთან ერთად ცდილობდენ, რომ თ. ს. ბ. ნ—ი, კაცი განათლებული და მოწალმართე, ამოერჩიათ გუბერნიის აზნაურობის წინამძღოლად, რადგანაც ეს თანამდებობა ჩვენში ჯერ-ჯერობით არის ერთად-ერთი იურიდიული ორგანო, რომლის მეოხებით მხოლოდ შეგვიძლიან ჩვენთა საზოგადობრიეთ საჭიროებათა და საწადელთ დაკმაყოფილების თხოვნა უზენაესის ხელმწიფების წინაშე, და, მაშასადამე, თუ ამისთანა კაცს არ ამოირჩევდენ ამ თანამდებობაზე, კრების ყოველივე გარდაწყვეტილება ამაოდ ჩაივლიდა.

ამ დროსვე თ. ნ. ნ—მა დაიწყო მეცადინეობა (ლონის-ძიების განურჩევლად), რომ თითონვე დარჩენილიყო წინამძღოლად. ამ მეცადინეობას ზედ დაურთო ახალ-გაზდობისა და ყველა გონიერ კაცთაგან განხრახულ რეჭორმების შემოღებაზე თხოვნის დაუცხრომელი წინაალმდეგობა... ამის შემდეგ, არც ბ. და არც ნ. ღ—ძენი არ დაშორებიან ნ. ნ—ელს...

უგონიერესთ მათ მომხრეებმა მაშინ მიჰმართეს მათ და უთხრეს: «როცა თქვენ პირველად მიემხრეთ ნ. ნ., თავს მაშინ იმით იმართლებდით, რომ ის თქვენი ყმა იქნება, და თქვენ გექნებათ მასზე გაელენა. ეხლა, ჩვენდა სამწუხაროდ, ეხედავთ, თითქოს თქვენ თვითონ ხართ მისი ყმა და მას ჰქონია თქვენ ზე გავლენა. თუ ეგ ნამდვილად ასე არ არის, თუ თქვენ ჭეშმარიტად გსურსთ ჩვენი ქვეყნის წარმატება—იყავით ჩვენკენ, დაგვეხმარეთ უწინდებურად, სასურველი რეჭორმების პროექტი მმართებლობასთან წარსადგენად.—ღ—ებმა მიუგეს, ჩვენ თქვენსავით მნიშვნელობას არ ვაძლევთ გუბერნიის აზნაურობის წინამძღოლის ადგილსაო; ჩვენ ნ. ნ. და მისს მომხრეებს ვერ ვაწყენინებთო, თქვენკენ მოქმედება არ შეგვიძლიან, რადგანაც ნ. ნ. დაგვემდურება და ეცდება ჩვენი ბანკი მოსპობილ იქმნასო....

საძაგელი შთაბეჭდილება მოახდინეს ამ სიტყვებმა ღ—ისამ მათს მომხრეებზე. ისინი დადგნენ იმ აზრზე, რომ ეს სიტყვები მათ უთხრეს ღ—ებმა მხოლოდ თვალების ასახვევად, თუ არა რა სათქმელი იყო—«ნ. ნ. ვერ ვაწყენინებთ, რადგანაც ვვეშინიან ბანკის მოსპობას არ ეცადოსო? თუ მაშინ ვერაფერი გაარიგა ამისთანა მეცადინეობით, როს მას ეხმარებოდა ამ საქმეში ლ—ოვი, ახლა, ძლიერს შემწეს სრულიად მოკლებული, რას გაიტანდა!...

ინტელიგენციამ გადააწყვეტინა კრებას რეჭორმების თხოვნა (უპირატესად დ. ნ. ბაქრაძის მეოხებით), მაგრამ, საუბედურობ, ვერ გაიყვანა თავისი კანდიდატ...

ეს იყო მიზეზი, რომ ღ—ებს დაშორდენ უკეთესნი მისნი წინადელნი მომხრენი,—სრულიად დაშორდენ მას საქმითაც და სიტყვითაც (იხილე «შრომა» № 22, 1882 წ. და «დროება» № 127 იმავე წლისა)...

მას აქეთ გავიდა ერთი წელიწადი, მიიცვალა ნ. ნ—ი და დღეს ნ. ღ—ძე უარს ამბობს კენჭის-ყრაზე. მაგრამ, ვიმეორებ, ეს უარის თქმა ბევრს ავად მიაჩნია და ბევრიც კვალად ჰგულობს მას თავის კანდიდატად...

(შემდეგი იქნება)

Дозв. ценз. Тифлисъ, 26 Апрѣля 1884 г. სტამბა ალ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.